1950

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლილა

„აუვავდი, ტურფა ქვეყანავ,
ილხინე, ქართველთ მხარეო,
და შენც, ქართველო, ზწაულითა
სამშობლო გაახარეო!“

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის
ყოველთვიური საბავშვო ჟურნალი მცირეწლოვანთათვის

2

572

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მშვიდობისათვის

ბავშვებო, თქვენმა მშობლებმა და უფროსმა და-ძმებმა აღფრთოვანებით მოაწერეს ხელი სტოკჰოლმის სამშვიდობო მოწოდებას. თქვენ ნახეთ, როგორ იმართებოდა ჩვენს ქვეყანაში კრებები, მიტინგები, თქვენი მშობლები და და-ძმები გამოდიოდნენ სიტყვებით და აცხადებდნენ, რომ ისინი დაუღალავად იბრძოლებენ მშვიდობისათვის, ახალი ენერგიით განაგრძობენ მშვიდობიან შრომასა და მშენებლობას. ხელმოწერა სტოკჰოლმის სამშვიდობო მოწოდებაზე მთელს მსოფლიოში ჩატარდა, მაგრამ კაპიტალისტები ხელს უშლიან სამშვიდობო მოძრაობას; მათი პოლიცია დევნის დემონსტრანტებს, რომელთაც ომის საწინააღმდეგო პლაკატები და ლოზუნგები გამოაქვთ ქუჩებში.

იქნებ გაგიკვირდეთ კიდეც:—რა საჭიროა მშვიდობისათვის მოწოდება, ვინ იქნება ისეთი უგუნური, რომ ომი და სისხლისღვრა უნდოდეს?! სამწუხაროდ არიან ასეთები, ესენი არიან კაპიტალისტები, იმპერიალისტები, მუქთახორები, რომელთა მიზანია მთელი მსოფლიო დაიპყრონ და ყველგან გაბატონდნენ. ომით ისინი მდიდრდებიან, ჯიბეს ისქელებენ და ცდილობენ ახალი კოლონიები დაიპყრონ, თავისუფლებისმოყვარე ხალხი დაიმონონ.

მსოფლიოს ყველა მშრომელს მშვიდობა სურს, კაპიტალისტებს კი ომი უნდათ; მთელი მსოფლიოს მშრომელები მშვიდობისათვის იბრძვიან, კაპიტალისტები ომს ამზადებენ. მთელი მსოფლიოს მშვიდობისმოყვარე ხალხს სათავეში უდგას დიდი და ძლიერი საბჭოთა კავშირი, რომელიც მუდამ ზრუნავს მშვიდობისათვის, და ახლაც იმას ცდილობს, სისხლისღვრა აღარ განმეორდეს. მთელი მსოფლიოს მშრომელი ხალხი იმედიანი თვალით შეჰყურებს ხალხთა ბრძენ ბელადს დიდ სტალინს, რომელიც საყოველთაო მშვიდობისათვის ზრუნავს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ომისგამჩაღებლებს სათავეში უდგანან ამერიკელი და ინგლისელი იმპერიალისტები. ისინი მუდამ იმ ფიქრში არიან, ომი გააჩაღონ. მეორე მსოფლიო ომმა მილიონობით ბავშვი დაიობლა და მოსპო. ბავშვებისა და მშვიდობიანი მოსახლეობის ჟლეტა და მოსპობა ახლაც გრძელდება. თქვენ, რა თქმა უნდა, გაიგონებდით, რომ ამერიკელი კაპიტალისტების მიერ გაგზავნილი არმია შეიჭრა ჩრდილოეთ კორეაში და ხოცავს თავისუფლებისმოყვარე კორეელ ხალხს, მათ შორის — ბავშვებს; ამერიკელ კაპიტალისტებს სურთ დაიმონონ კორეელი ხალხი. მათი მოქმედება მხეცურია, აღმაშფოთებელი.

4848

იმპერიალისტების მიერ დამონებულ ქვეყნებში, ანუ კოლონიებში, ათასობით ბავშვი იღუპება. ყოველ 100 ბავშვში იქ მხოლოდ 30 ცოცხლობს, 70 - კვდება, ეს იმიტომ, რომ მცირეწლოვანი ბავშვი კაპიტალისტების მიერ დამონებულ ქვეყნებში უკვე მძიმე ფიზიკურ შრომას ეწევა. ირანში სულ პატარა ბავშვებიც კი მუშაობენ ფაბრიკა-ქარხნებში, მძიმე სამუშაოზე. მათთვის არც სკოლა არსებობს და არც საბავშვო ბაღი. ისინი დასაღუპად არიან განწირულნი.

ახლა ვნახოთ თვით ამერიკაში და სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებში როგორი მდგომარეობაა. თქვენ უკვე იცით, რა დღეში არიან იქ ზანგის ბავშვები, ან მუშების შვილები. უმრავლესობა მათგანი სკოლაში ვერ სწავლობს, ნახევრად მშიერი ქუჩა-ქუჩა დაეხეტება და სამუშაოს ეძებს. ვინც სკოლაში სწავლობს, არც იმისი მდგომარეობაა სახარბიელო. იმპერიალისტებმა სკოლები სამხედრო უაზარმებად აქციეს. ყოველ გაკვეთილზე გაისმის: ომი! ატომური ბომბები! ხალხთა მოსპობა, განადგურება! საჰაერო თავდასხმები!.. არითმეტიკული ამოცანებიც კი ომის მაგალითებზეა აგებული.

მაგრამ არც ერთ პატიოსან მშრომელს არ უნდა ომი. არც ერთ მოსიყვარულე დედას არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნდა თავისი შვილი უაზრო ომის მსხვერპლი გახდეს. მშვიდობის მომხრეთა ძალები დიდია. მსოფლიოს მოწინავე, შეგნებული და პატიოსანი ადამიანები, გამოჩენილი მეცნიერები და მწერლები, ყოველი დარგის მოღვაწენი მედგრად იბრძვიან საყოველთაო მშვიდობისათვის. ამას ადასტურებს სტოკჰოლმის სამშვიდობო მოწოდებაზე ხელმოწერის ფაქტი: ქალაქ სტოკჰოლმში რამდენიმე ხნის წინათ შეიკრიბნენ მთელი მსოფლიოს მოწინავე ადამიანები, რომელთაც ომი არ უნდათ, მშვიდობა სურთ და მშვიდობისათვის იბრძვიან. მათ გადაწყვიტეს, რომ მთელს მსოფლიოში ჩაატარონ ხელისმოწერა, რომელიც აკრძალავს ატომური ბომბის გამოყენებას, მასობრივ ჟლეტას და ომის წინააღმდეგ არის მიმართული. ეს როდი მოეწონათ ამერიკელ-ინგლისელ იმპერიალისტებს და მათ დამქაშებს! მათი მიზანია ომი გააჩაღონ. მუქარისა და დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად კაპიტალისტურ ქვეყნებშიაც მილიონობით პატიოსანი მშრომელი აწერს ხელს ამ მოწოდებას.

ეს უდიდესი რისხვაა ომის გამჩაღებლებისათვის, კაპიტალისტებისათვის. სახალხო დემოკრატიული ქვეყნები დიდი საბჭოთა კავშირის მეთაურობით მედგრად დგანან მშვიდობის სადარაჯოზე. მსოფლიოს მილიონობით მშრომელები იმედის თვალით შეჰყურებენ მშვიდობისმოყვარე საბჭოთა ხალხს და მის მშვიდობიან მშენებლებს. ისინი სიყვარულით და იმედით შეჰყურებენ მშვიდობის მედროშეს, ხალხთა გენიალურ ბელადს დიდ სტალინს.

ვახტანგ ჭელიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავით ბაქრაძე

ნახატი გ. ფოცხიშვილისა

საბჭოთა კავშირის გმირი

სამი დავალება

(პარტიზანის მოგონება)

კარგი მომზადების შემდეგ, ჩვენმა შენაერთმა ქალაქ ალევსკს მაგრად დაარტყა. ერთი თავდასხმით მტერს დიდი ზარალი მივაყენეთ. ახლა საჭირო იყო მოწინააღმდეგისათვის სინათლე და წყალსადენი მოგვეშალა. როცა პარტიზანებმა ალევსკის სადგური გაანადგურეს, ლიანდაგი აყარეს და მატარებლები ააფეთქეს, მაშინ ელექტროსადგურის და წყალსადენის განადგურება ველარ მოასწრეს. ბევრს ვფიქრობდით, როგორ მოგვეწყო ელსადგურის და წყალსადენის მწყობრიდან გამოყვანა.

ფედჩუკმა განაცხადა: ალევსკში კაცის შეგზავნა რომ შეგვეძლოს, იქ მყავს მეგობარი, სანდო კაცია შესაძლოა მისთვის მიგვენდო წყალსადენის აფეთქებაო.

პარტიზანების თავდასხმის შემდეგ ალევსკი მტერმა შეუვალი გახადა, ქალაქში შესვლა-გამოსვლა შეუძლებელი იყო. მაშინ ერთი აზრი დამებადა: იქნებ ალევსკში ჩვენი პატარა პარტიზანი ალიოშა შევგზავნოთ მეთქი. მცირეწლოვან ბავშვს ყურადღებას არავინ მიაქცევდა.

— ალიოშა! — ვეუბნები ბავშვს, — თუ გაბედავ, ერთ საქმეს დაგავალებთ. შენ ალევსკში გიცხოვრია, მისი ქუჩები იცი, ეგებ სცადო ქა-

ლაქში შესვლა? ერთ იქაურ მცხოვრებთან ბარათს გაგატანთ. შესძლებ ამ დავალების შესრულებას?

— რატომაც არა, წავალ, გადავცემ. — მიპასუხა ბავშვმა.

— ხომ არ გეშინია?

— რა არის საშიში, წავალ!

ფედჩუკმა წერილი გაამზადა, ბავშვს აუხსნა, თუ ვისთვის უნდა გადაეცა იგი. ალიოშას წინდაში ჩავუმალეთ ბარათი და გზაზე დავაყენეთ, ქალაქამდე მზვერავები გავაყოლეთ. დამშვიდობებისას ვუთხარი: თამამად იარე, თვალების აქეთ-იქით ცეცება არ დაიწყო, ვინიცობაა გაგაჩერონ და გკითხონ, თუ სად მიდიხარ, გაბედულად უპასუხე: სახლში მივდივარ, ალევსკიდან ვართქო.

ჩვენს დარიგებაზე ბავშვს გაეღიმა, სწრაფად შეტრიალდა და გზას გაუდგა.

დრო გავიდა. ვფიქრობთ, ნეტავი როდის დაბრუნდება ჩვენი ალიოშა?!

ღღე და ღამე იყრებოდა.

— აგერ, ხედავთ?! — წამოიძახა უცბად ფედჩუკმა. სოფლის გზაზე ჩიტივით მოფრინავდა ბავშვი. მოახლოვებისთანავე მკვირცხლად მოგვაძახა:

— ვნახე, წერილი გადავეცი, პასუხიც გამომატანა!

ალიოშა თოვლზე დაჯდა, წინდის ყელში ორი თითი ჩაიყო და წერილი ამოაგდო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წერილში ასე ეწერა: „მზად

არ თქვენი დავალება შევასრულო, ასაფეთქებელ მასალას თუ მოახერხებთ, დანარჩენი ჩვენზე იყოს!“

წერილის წაკითხვის შემდეგ ბჭობა გაიმართა, — როგორ შევძლოთ ასაფეთქებელი ნივთიერების ალევსკში შეგზავნა?!

ისევ ალიოშამ გვიხსნა: პატარ-პატარა ნაწილებად გამოვკარით ასაფეთქებელი მასალა და ალიოშას ხელით გავუგზავნეთ მეგობარს.

ჩვენი ორივე დავალება ალიოშამ პირნათლად შეასრულა:

წყნარი და ცივი ღამე იყო. ისის იყო მთვარე ჩავიდა და ალევსკის მიმართულებით ყრუ ქუხილი გაისმა.

მეორე დილით, სოფელში, სადაც პარტიზანები ვიყავით დაბანაკებულნი, გლეხებს შორის დიდი მითქმა-მოთქმა შეიქნა:

— წუხელის ალევსკში დიდი ამბავი დატრიალდა: წყალსადენი აუფეთქებიათ.

მესამე დავალებაც ჩინებულად შეასრულა ალიოშამ. მან ალევსკში წასვლისას, ასაფეთქებელ მასალასთან ერთად, საინფორმაციო ბიუროს ბიულეტენები და პარტიზანების მიერ გამოშვებული საბრძოლო ფურცლები წაიღო და ქალაქის მოფარებულ მრავალ ადგილას შეუმჩნევლად დაჰყარა.

პატრიოტმა ბავშვმა ჩვენს პარტიზანულ რაზმს დიდი ამაგი დასდო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



გ. მუსაევი

ნახატი **გრ. ჩირინაშვილისა**

დაბადების დღე

დადგა საღამო. მასწავლებელ გეჰარის სუფთად და ლამაზად დალაგებულ ბინაში მის და მეზობელი ქალების გარდა არავინ იყო. თანაბრად გაისმოდა დიდი კედლის საათის ხმა. ფართო მაგიდა გაწყობილი იყო ჭურჭლით, რომლებშიც მრავალნაირი ტკბილეულობა ელაგა. მასწავლებელი მარტო ცხოვრობდა. მაგრ ჰყავდა ბავშვები. მისი ოთახის კედლებს ამშვენებდა ჭაბუკებისა და ქალიშვილების მრავალი ფოტოსურათი.

ყველაზე უფრო თვალსაჩინო ადგილას ეკიდა ორდენებით და მედლებით მკერდამშვენებული ახალგაზრდა მეზღვაურის ფოტოსურათი. ეს სურათი მასწავლებელ გეჰარს მისმა ყოფილმა მოსწავლემ გამოუგზავნა ლენინგრადიდან. ცოტა მოშორებით ეკიდა მოხდენილი ქალიშვილის ფოტოსურათი წარწერით: „სახსოვრად მასწავლებელ გეჰარს". თხუთმეტი წლის წინ ეს ქალიშვილი, მაშინ ჯერ კიდევ პატარა გოგონა, ერთ-ერთი ცელქი მოსწავლეთაგანი იყო. ახლა იგი აზერბაიჯანის ერთ-ერთ სოფელში ექიმად მუშაობს. დიახ, ყველა ეს პორტრეტი სახსოვარია მოხუცი მასწავლებლის აღზრდილებისაგან.

დღეს მას ორმოცდაცხრა წელი შეუსრულდა. ყოველ წელს, ამ დღეს, მისი მყუდრო ოთახი ივსება მოსწავლე ვაჟებისა და გოგონების წკრიალა ხმებით. ყველაზე უწინ, რასაკვირველია, გამოჩნდებიან ბავშვები იმ კლასიდან, რომელსაც ის ხელმძღვანელობს.

უკვე შვიდი საათი სრულდებოდა. მოხუცი მასწავლებელი კითხულობდა მილოცვის დეპეშებს, რომლებიც დღეს მან სხვა და სხვა ქალაქიდან მიიღო თავისი ყოფილი მოწაფეებისაგან. გაისმა კაკუნი. ოთახში ვეებერთელა თაიგულით ხელში შემოვიდა ფარმანი, ხოლო მას შემოჰყვა მეექვსე კლასის ყველა მოს-

*) გაგრძელება. დასაწყისი იხილე „დილა" № 7

წავლე. ოთახის მყუდროება და სიჩუმე უცბად დაარღვია ჟრიამულმა. მოხუც მასწავლებელს თვალები სიხარულით გაუბრწყინდა. მან აიღო თაიგული, ჩასდო დიდ ქილაში და გულთბილად მიიწვია ბავშვები მაგიდასთან.

მასწავლებელმა შეხედა საათს. შვიდამდე დარჩენილიყო კიდევ რამდენიმე წუთი. მაგიდასთან ორი ადგილი იყო ცარიელი. „მოვიცადო კიდევ?“ გაიფიქრა მან. საათმა დარეკა შვიდი, და იმ წამსვე გაისმა კაკუნი. კარის ზღურბლზე იდგა ორი ნოსწავლე სახელოსნო სასწავლებლიდან. ბავშვებმა მაშინვე იცნეს; ესენი იყვნენ რაშიდი და ფარვიზი. მასწავლებელი დიდი სიხარულით შეხვდა ამ სტუმრებსაც.

როდესაც ხელს ართმევდა, რაშიდმა ჰკითხა მას:

—თქვენ კი იფიქრეთ, რომ ჩვენ დაგივიწყეთ?

მასწავლებელი გადაეხვია ბიჭებს:

—არა, ჩემო შვილებო, მე თქვენ ყველას კარგად გიცნობთ!

ფარვიზმა სწრაფად გახსნა ხვეული, რომელიც მას ხელში ეჭირა და ამოიღო იქიდან ლამაზი ჩარჩო:

—მასწავლებელო, ეს ჩემი ხელით გავაკეთე საკუთრად იმ ფოტოსურათისათვის, რომელიც ჩვენ ყველამ გადავიღეთ პირველ კლასში!

ის მივიდა საწერ მაგიდასთან, ჩამოიღო მის ზევით დაკიდული ფოტოსურათი და ჩასვა ჩარჩოში. ფარმანი მკვირცხლად წამოდგა და ხელახლა ჩამოკიდა ფოტოგრაფიული სურათი მაგიდის თავზე. შემდეგ რაშიდმაც უჩვენა თავისი საჩუქარი. მან ჯიბიდან ამოიღო თავისი გაკეთებული, ვერცხლივით მბრწყინავი კოხტა ჩარჩო სათვალეებისათვის.

—მომეცით, თუ შეიძლება, თქვენი სათვალეები,—სთხოვა მან მასწავლებელს

მასწავლებელი მოულოდნელობისგან დაიბნა, არაფერი თქვა და გაუწოდა რაშიდს სათვალეები. ისინი იყვნენ უწინდებურად—როგორც ეს ხუთი დღის წინ შენიშნა რაშიდმა— ძაფით გადაბმულნი. რაშიდმა სათვალეებიდან შუშები ამოიღო და ერთ წუთში ჩადგა ახალ ჩარჩოში. მასწავლებელმა გაიკეთა სათვალეები და მიუახლოვდა კედელზე დაკიდულ ჩარჩოს, რომელიც ფარვიზმა გააკეთა. ბავშვები გარს შემოეხვივნენ მას და მასწავლებელს ნამდვილად ეჩვენებოდა—ასე არწმუნებდა მათ ყოველ შემთხვევაში,—რომ ახალ ბუდეში ჩასმული სათვალეებით ის უკეთ ხედავს—და მან დაიწყო თითო-თითოდ სინჯვა ბავშვებისა, რომლებმაც მასთან ერთად სურათი გადაიღეს ექვსი წლის წინ. მაშინ ის პირველ კლასს ხელმძღვანელობდა. აი, ის ზის ბავშვებში და ეს სუსტი ბიჭი, რომელიც მიჰკვრია მას,—რაშიდია. მას კარგად ახსოვს—რაშიდი კლასში ყველაზე დაბალი იყო. იგი ყველას ძლიერ უყვარდა. ხოლო ეს კი ხალათში რომ დგას და იღიმება,—ეს ფარმანია. ყველაზე განაპირა ბავშვს თავი ისე დაუხრია, რომ სახესაც კი ვერ გაარჩევ,—ეს ფარვიზია. ადრეულ ბავშვობაში ის ძლიერ მორცხვი ბიჭი იყო. ამ სახეების შემყურე მოხუცი მასწავლებელი იგონებს მრავალ ბედნიერ წუთებს და მას გადააქვს ახლა მზერა ფოტოგრაფიული სურათიდან მის გარშემო შემოხვეულ მოზრდილ ბავშვებზე. ის თითქოს აბიჯებს ერთ წუთში ხანგრძლივ ექვს წელიწადს.

მას ვერ უპოვია სიტყვა, რომ გამოთქვას სავსე გრძნობები და მხოლოდ აღტაცებით შესძახებს:

—ჩემო ძვირფასო ბავშვებო, როგორ გაიზარდეთ ყველანი!

ბავშვები მაგიდას უსხდებიან.

(ირგმანი აზერბაიჯანულიდან)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ანა ხახუჯაშვილი

მეგობრები

ნახატი ალ. ვეფხვაძისა

ჩვენი სოფლის პატარებს „ძერა-ძერა“-ს თამაშობა ძლიერ უყვართ. ამ საღამოსაც ბავშვებს ერთმანეთისათვის ხელი მაგრად ჩაეკიდათ და ფართე წრეს ნელა უვლიდნენ. სათავეში კრუხად ყოჩაღი თინა ჩასდგომოდა. ძირს მიწაზე, ასმათი ძერათ ჩამჯდარიყო და ჩხირით პატარა წრეს ავლებდა, ვითომ ციცხვით ქვაბს ურეკდა.

— ძერა, ძერა, რას აკეთებ?—ეკითხება კრუხი ძერას.

— ჩიტი-ფაფას — უპასუხა ძერამ და ბავშვებს თვალი გადაავლო, ვითომ წიწილები შეათვალიერა.

— ჩემმა შვილებმა რომ ჩამოიარონ არ აჭმევ?!

— არა, არ ვაჭმევ!..

— ძაღლებს დაგისისიანებ. — მუქარით ჩასძახა კრუხმა.

— ვაჭმევ, ვაჭმევ, — ფიცხლავ უპასუხა ძერამ და მძიმედ ზევით წამოიწია.

— ჰაე-ჰაეო, — დასჭყივლა კრუხმა, გაშალა ხელები და ძერას წინ გადაეღობა. წიწილები ჟივილ ხივილით მის ზურგს ამოეფარნენ. ძერამ ხან მარჯვნივ წამოუარა, ხან მარცხნივ... ატყდა ჟივილ-ხივილი. ძერა სწრაფად მიტრიალდა და სანამ წიწილების მწკრივი გაეცლებოდა, ბოლო გოგონა ბუდისაკენ გამოიტაცა. მიიყვანა და სადაც მიწას ჩიჩქნიდა — ძირს დასვა. თვითონ ისევ სანადიროდ გასწია.

— ჰაე, ჰაე. — უყვირის კრუხი და ხელებგაშლილი შვილებს თავგამოდებით იფარავს... ბავშვების ჟივილ-ხივილი სოფლის ბოლოში ისმის.

ამ მიხლა-მოხლაში პაწია ნანულიმ ქვას ფეხი წამოჰკრა და წაიქცა, ცხვირი მიწას დაჰკრა და სისხლი წავარდა. ბავშვები შეკრთნენ და ატირებულ ნანულის მიეხვიენენ; სწრაფად წამოაყენეს. სისხლის დახახვაზე ყველა შეწუხდა.

— არა გიშავს რა, გენაცვალე!

— გუშინ მეც ეგრე დავეცი, იმდენი სისხლი წამვარდა და არ მტკივა!

— სუ, შენ ჭირიმე.. სანამ გაიზრდები დაგავიწყდებაო. — მე რომ მეტკინება რაიმე — დედა ასე მეტყვის, ხოლმე!

ტკბილად ეფერებოდნენ ბავშვები ნანულის.

დაფაცურტნენ ამხანაგები: ზოგს წყალი მოჰქონდა, ზოგმა ფარდაგის ნაჭერი ძოტანა; ნანულის თავქვეშ მუთაქა დაუდეს, მერე ცხვირპირი მოჰბანეს და გულალმა დააწვინეს, რომ სისხლის დენა შეჩერებოდა.

მკვირცხლმა ასმათმა ციცინათელას მოჰკრა თვალი, ფიცხლავ დაიჭირა და ნანულისაკენ გამოქანა, ციცინათელა თმებში ჩაუსვა, აკოცა და მოფერებით უთხრა:

— იცი, ახლა, რა ლამაზი ხარ?! ნუ ტირი, გენაცვალე, თორემ დედაშენი გაიგებს და ძლიერ ეწყინება!

ნანული ამხანაგების ხათრით გაჩუმდა და ცხვირიც მალე მოურჩა.

დაბრუნება

ბრიგორ აბაშიძე

ნახატები ვ. გორგაძისა

მოგუგუნებს ელმავალი,
უკან გვრჩება ქართლის ველი,
და თბილისი გვეგებება
ჩვენი ტაბილი მასპინძელი.
ჩვენს ეაგონში ჩემი ტოლი
ბავშვიც მოხვდა შეიდიოდე,
სათითაოდ გავეცანი,
თბილისისკენ მიდიოდნენ.
და მოვეკითხეთ: ეს ზაფხული
სად და როგორ გავატარეთ,
ვინ სოფელში დაისვენა,
ვინ—ბანაკში, ქალაქგარეთ.
— მე წელს ზღვაზე ვიყავიო,—
მოიწონა ვატამ თავი,—
მთელ დღეს მზეში ვატარებდი,
ომიტომ ვარ ასე შავი!
ბიძინამ თქვა:—გურიაში
ჩხაერი გვაქვს მსხმოიარე,
ბახეში ვიყავ ამ ზაფხულზე
და ბახმაროც მოვიარე!
ნანულიმ თქვა: წელს პირველად
შორს ვიყავი, მთებს გადაღმა,
ეს ზაფხული ცემში ერთად
გაატარა ჩვენმა ბაღმა!
ნუნუმ უთხრა:—პატარა ხარ,
თავს მოზრდილებს რად ადარებ,
მე ქვიშხეთში ეს ზაფხული
ყველავ ბანაკში გავატარე!

ყველ

— მე რიჟაში დავისვენე,—
ზაქრო დინჯად ჩაერია,—
რა ჰაერი შეედრება,
რიჟაში რომ ჰაერია!
გურამმა თქვა:—მე იქ ვიყავ,
სხვიტორთან რომ არგვეთია,
წელს იმდენი ხილი იყო,
არაფერში ჩაგვეტია:
თანდომ უთხრა:—ყავთისხევზე
უფრო კარგი სამყოფელი
თუ სადმეა, არ მგონია,
საქართველოს სხვა სოფელი!
აქეთ ხილის ბაღებია,
იქით ჯეჯილს ქარი არხევს,
მამამ გორში წამიყვანა
და სტალინის სახლი ვნახე.
ეს რომა თქვა, გაგვაჩუმა,
შეგვეხარბა თანდომ ბედი,
და თბილისში გორის სახლზე
სჯა-ბაასით ჩამოვედით.
და როდესაც გეშორდებოდა,
თანდომ ყველას ეს ურჩია:
—გორში წასვლა რა ძნელია,?!
თქვენც მოაწყეთ ეკსკურსია!
მოგვეწონა მისი რჩევა,
გადავწყვიტეთ გულში ყველამ,
რომ სტალინის სახლი წელსვე
ყველამ ვნახოთ, უეჭველად!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალ. აფხაიძე

ნახატები გ. როინიშვილისა

მინდორში

ზღაპარი ერთ სურათად

მონაწილენი:

ბავშვები	**ნამი**
ყვავილები	**ცხვრები**
პეპელა	**მგლები**

(მინდორში ყვავილები ჩურჩულებენ, მოშორებით ცხვრები ბალახობენ. თამაზი სალამურს უკრავს, მერაბი მღერის.)

მერაბი

დელი-დელა, დელი-დელა...
საით? საით, ჩემო ჭრელა?

1-ლი ცხვარი

მოგვეწყინა ყოფნა ხისქვეშ.

2-რე ცხვარი

იმ მინდორში არ შეგვიშვებ?!

მერაბი

არა, ჭრელა, იქ ბალია
ჩვენი ხელით ნაკეთები;
განა ცოტა არის თქვენთვის
საბალახო ნაკვეთები?!

თამაზი

ჩვენი ნორჩი ყვავილები
რისთვის უნდა გადათელოთ?
გაიხარონ, გაიფურჩქნონ,
ჩვენი ბაღის სასახელოდ.

(თამაზი და მერაბი ცხვრებს მიჰყვებიან)

ენძელა

გესმის, იავ, მწყემსის სიტყვა?
რა კარგად თქვა, მოხდენილად;

ხელს ნუ ახლებთ ია-ვარდსო,—
გულში ჩამწვდა ეს ხმა ტკბილად.

ია

მე ცახცახმა ამიტანა,
არ ველოდი გადარჩენას;
მე ხომ დილით გავიფურჩქნე,
ძლივს მოვასწარ გამოჩენა.

შროშანი

დილით მზემ რომ სხივი მტყორცნა,
მეც მის სხივებს გავუცინე;
ფრთაფარფატა ჭრელ პეპელას
ჩემთან საქმე გავუჩინე.

ვარდი

მეც ვუყვარვარ ნაზ პეპელას,
მოფრინდება, დაისვენებს;
ჩემს ნექტარში მეკობარი
ფაჩუჩებსაც დაისველებს.

ყაყაჩო

რა მშვენიერი რამა ხართ,
თვალი ვერ ძღება ცქერითა;
თქვენს შორის, დებო, მეც ვხარობ
და გამკობთ ალისფერითა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ია

შეხე, ცხვარი ჩვენსკენ მოდის,
დობილებო, ჩაიმალეთ;
სად წავიდნენ ყმაწვილები,
დაუძახეთ, გენაცვალეთ.

(პირველი ცხვარი ყვავილებისაკენ მიდის, შემოდის მერაბი)

მერაბი

ჭრელავ, საით იპარები,
არ გრცხვენია, თმახუჭუჭავ?
თითქოს არაფერიაო,
თვალიც როგორ მოუხუჭავს!

(გაიყვარს)

პეპელა

(შემოფრინდება)

ხომ არ მოგწყინდათ უჩემოდ,
კარგებო, გენაცვალებით!?
სად არ ვიფრინე, სად არა,
სულ თქვენსკენ მქონდა თვალები

ბაია

ფრთალამაზო, ჩემთან მოდი,
დაიღალე? - დაისვენე!
მოდი მეთქი, ფრთახატულავ
და ამბავი გვითხარ მერე.

ყაყაჩო

ჩემს ფოთოლზე დაიძინე,
ნამგზავრი ხარ და გაამებს,
მე აკვანი ვიქნები და
ნახი სიო გინანავებს.

(გამოჩნდებიან მგლები)

ენძელა

ჩუ! დაიცათ.... მგელი მოდის
ცხვრების შეჭმას აპირებს,
მწყემსებმა რომ არ იციან,
დებო, მე ეს მატირებს...

(გადის)

1-ლი მგელი

შეხედე, რა კარგი ცხვრებია,
მსუქნები, ქონად რომ დნებიან!..

2-რე მგელი

ჩვენ ბასრი კბილები გვიფარავს,
წავიდეთ, დავეცეთ იმ ფარას!

(მიდიან, მგელი ყაყაჩოს გადათელავს)

ყაყაჩო

ვაიმე, დებო, მიშველეთ,
წყეულმა როგორ დამტორა;
ფოთლები დაჭიზიანა,
გადათელილი დამტოვა...

პეპელა

ჩემო ძვირფასო ყაყაჩო,
რა დაგემართა, რა იყო?
ჩემს ფრთებს დაეყრდენ
ფოთლებით,
მალე მორჩები, დაიკო!

(ეშველება ყაყაჩოს)

ასე... ასე... ცოტაც კიდევ...
და სრულიად წამოდგები;
მაგრამ... დაო, ვერ გიშველე;
შენთან ერთად მეცა ვკვდები!

(დაეცემა ყაყაჩოს ძირში.

შემოდის ყურშა, მოჰყვება ენძელა)

ყურშა

შენ ამბობ, რომ ორნი იყვნენ?

ენძელა

სწორედ ორნი... ორი მგელი;

ია

აქვე, ტყეში დაიმალნენ.!

ბაია

უმაძღარნი, საძაგელნი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

(ყურშა გარბის. მოისმის თოფის ხმა და ყურშას ყეფა. გამორბის ფეხმოტეხილი მგელი, მოსდევს ყურშა)

მგელი

ვაი, ვაი, რა დღეში ვარ,
ის მოჰკლეს და მე კი დამჭრეს.

ყურშა

სად გარბიხარ, სად წამიხვალ,
შენი ტყავი უნდა დამრჩეს!

(მისდევს)

შროშანი

ასე, ასე, ჩემო ყურშავ,
არ გაუშვა, შეუტიე!

ვარდი

რა ეგონათ, აბა, ხარბებს,
მგელს — მგლობას ვინ აპატიებს?!

(თამაზი და მერაბი თოფებით შემორბიან)

თამაზი

არ გაუშვა, ეცი, ეცი!

მერაბი

ხედავ? ყურშამ დასცა მგელი.

(თამაზი თოფს უმიზნებს)

შესდექ! ყურშა არ მომიკლა,
არ გამოჰკრა ჩახმახს ხელი.

(გარბიან, მოისმის თოფის ხმა)

ია

უჰ! მეორე მგელიც მოჰკლეს...

შროშანი

ბოროტი და აავი მგელი.

ია

რა ყოჩაღი ბავშვებია.

ბაია

ცხვრებისა და ბაღის მცველნი!

ია

საწყალი ჩვენი ყაყაჩო,

ვარდი

საწყალი ჩვენი პეპელა...

შროშანი

ეს ვინლა არის, რომ მოდის,
აბა, შეხედე, ენძელავ?

(შემოდის ნამი)

ნამი

მე ნამი ვარ, დილის ნამი,
გულზე მოგეპკურებით:
ცრემლი მოგდით ჭრელ პეპელას
და ყაყაჩოს ყურებით?
ახლავ, ახლავ გავაცოცხლებ
ყაყაჩოს და პეპელას.

(ცვარს აპკურებს)

გაიღვიძეთ, დობილებო,
წამოდექით ნელ-ნელა.

(ყაყაჩო და პეპელა წამოდგებიან)

ყაყაჩო

გმადლობ, ჩემო სანატრელო,
გულს რომ ცვარი მაპკურე;

პეპელა

გაიხარე, ჩვენო მხსნელო,
ღიმილით რომ დამყურებ!

(შემოდიან თამაზი, მერაბი, ცხვრები და ყურშა)

ბავშვები

ვერ მივართვით, რაც მსუნაგ მგელს
გულში ჰქონდა განზრახული;

ყვავილები

გვიყვარს გამრჯე ყმაწვილები
და კეკლუცი გაზაფხული!

ფ ა რ დ ა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თინათინ კვირიკაძე

ამამღერეთ!

კარგი ვარ, და ჰატარები
სიხარულით მეტანებით
შავ კაბაში გამოწყობილს,
მორთულს ოქროს ჰედალებით.

თითებს როგორც დამაკარებთ,
იმ წუთშივე ავმღერდები:
დო-რე-მი-ფა-სოლ-ლა-სი-დო,—
ვიმეორებ აღელვებით.

უხეშად ნუ მომეჰყრობით,
ხმას დავკარგავ, ავიშლები.
მამშვენებენ კბილებივით
ჩაბწკარული კლავიშები.

ამამღერეთ, ამამღერეთ,
საკრავი ვარ საიმედო.
მე მოლხენაც კარგი ვიცი,
დო-რე-მი-ფა, ფა-მი-რე-დო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როსტომ ელანიძე

ნახატი **გ. როინიშვილისა**

გუგულის შეცდომა

ჭალაში ფრინველები ბუდეებს აშენებდნენ:

— წნელი მომაწოდე!

— ფოთოლი მომიტანე!

— გამხმარი ბალახი ამოარჩიე! — ისჭოდა აქეთ-იქიდან შეძახილები.

გვრიტები ხმელ წკირებს აწყობდნენ ხის ტოტებზე. შაშვები ხის ორკაპებში დგამდნენ ხავსის ბუდეებს, მწყერჩიტები ბუჩქის ძირას მიწაზე აგებდნენ რბილ ბალახებს. ბულბული მდინარეზე გადმოკიდებულ ტირიფის ტოტზე ქსოვდა ლამაზ ბუდეს.

— გუგუ! გუგუ! — შემოსძახა ჭალას გუგულმა.

— გუგული მოვიდა, გუგული! — ასტეხეს ფრინველებმა ჟრიამული.

— ქორმა წაგიღოს! ან ბუდობის დროს რამ შეჭოგაგდო ჩვენს ჭალაში, — ჩაიჭახჭახა დედა შაშვმა.

— უჰ! ახლა მაგის შიშით ბუდეს ვინღა მიატოვებს? ვინ იცის, ვის ბუდეში ჩააწყობს თავის კვერცხებს, ეგ უსაქმური, ცრუპენტელა! — ჩაიწრიპინა ლაჟომ.

— რა ენაღვლება, — განაგრძო მოლალურმა, — თვითონ ბუდის გაკეთების შნო არა აქვს, ბარტყების გამოჩეკა არ ეხერხება, ვისი ბუდეც მოეწონება, კვერცხებს ჩუმად ჩაუგდებს, თვითონ კი თავისუფლად დაფრინავს, თანაც ხითხითებს და ფრინველებს დასცინის.

— უჰ! რა კარგ დროს მოვსულვარ, — თუთა და ბალი მწიფობაში შესულა, ფრთოსნები ბუდეებს აკეთებენ; წავალ, ჩემი შვილების გამზრდელებს ახლავე ამოვირჩევ და ჩემს კვერცხებს სათითაოდ ჩავუწყობ ბუდეში, — თქვა გუგულმა და გაფრინდა.

პირველად გვრიტის ბუდეს მიაგნო, მაგრამ არ მოეწონა; — აქ ჩემი ბარტყი როგორ გაიზრდება, ბუდეს კედლებიც კი არა აქვსო; ახლა შაშვის ბუდეს წაეწყდა, — ამას შარშან გავაზრდევინე, წლეულს სხვებს ამოვირჩევო, — გაიფიქრა და იქიდანაც გაეცალა.

მთელი ჭალა შემოიარა, ყველა ბუდე შეათვალიერა, მათში ბულბულის ბუდე უფრო მეტად მოეწონა, — მართლაც ლამაზად იყო მოქსოვილი; ტირიფის ტოტზე მსხალივით ეკიდა, და პატარა კარიც ჰქონდა, რომელშიც მხოლოდ ბულბული შეეტეოდა.

გუგულმა ნისკარტით მიიტანა თავისი კვერცხი და იმ ლამაზ ბუდეში ჩადო.

ბულბულმა ვერაფერი გაიგო, ის მოშორებით იჯდა და გალობდა, ბუდეში რომ შევიდა, ვერც უცხო კვერცხი იცნო, — მისი კვერცხებისაგან არ განირჩეოდა.

გავიდა ხანი. პირველად გუგულის კვერცხიდან გამოიჩეკა ბარტყი, კვერცხიდან თავი გამოჰყო თუ არა, ერთი ლაზათიანად დაამთქნარა, და თან მიაყოლა: მშია, მშია!

გაფრინდა გახარებული ბულბული: ჩემს პირველ ბარტყს სხვებიც მალე მოჰყვებიანო, — თქვა და შეუდგა საზრდოს ძებნას: მოიტანა კოღო-მატლები, ბუზანკლები, აჭამა გუგულის ბარტყს, მაგრამ ვერ გააძღო, ის მაინც პირს აღებდა და გაიძახოდა: „მშია, მშია!“

თავიდანვე ეუცხოვა მომღერალ ჩიტუნას უცნაური ბარტყი: რამდენი ბარტყი გამიზრდია, მაგრამ ამისი მსგავსი ერთიც არა ყოფილაო! — ფიქრობდა, თუმცა ვერაფერს მიხვდა.

ბარტყი ცოტა რომ წამოიზარდა, სივიწროვე იგრძნო და ბულბულის კვერცხები დაბლა გადმოყარა, დარჩა მარტო ბუდეში.

ბულბულმა დანარჩენი კვერცხები რომ ველარ ნახა, ამ ერთს მაინც გავზრდიო, — თქვა და უფრო გულმოდგინედ შეუდგა ზრუნვას.

გუგულის ბარტყი რაც უფრო იზრდებოდა, უშნო ხდებოდა: დიდი თავი, გადმოკარკლული თვალები და ფართე, ყვითელნაპირებიანი პირი ჰქონდა. მხრებზე და ზურგზე შავი ბუსუსი ამოსდიოდა, მუცელი ისევ ტიტველი რჩებოდა. ბოლოს ისე გადიდდა, რომ ბულბულის ბუდეში ველარ ეტეოდა, ბუდის კედლები განზე გასწია, თავი კარებიდან გარეთ გამოჰყო და სულ გაიძახოდა: მშია, მშიაო.

თავზარდაცემული ბულბული ახლოს ველარ ეკარებოდა: ეს რა დამემართა, როგორი ბარტყი გამოვჩეკეო, — დარდობდა.

გუგულის ბარტყს მხრები გაეზარდა, გაფრენა უნდოდა, მაგრამ ბუდეში გაიჭედა და იქიდან ველარ გამოდიოდა. წვალობდა, თავს აქეთ-იქეთ აქნევდა, ბუდე ტირიფის ტოტთან ერთად ქანაობდა, ბულბული დაღონებული იჯდა და შეჰყურებდა.

ეს ამბავი მალე მთელ ჭალას მოედო, ყველა ფრინველი იქ შეიკრიბა, მაშინვე იცნეს გუგულის ბარტყი და ასე თქვეს: ის მუქთახორა, ბულბულის ბუდეში კვერცხს რომ დებდა, ის ველარ მოიფიქრა, რომ იქიდან მისი შვილი ველარ გამოძვრებოდაო!

კ. გოგიაშვილი

ნახატები ი. გაბაშვილისა

ვიტვიტა და ბათურა

ზღაპარი

ერთ ეზოში ცხოვრობდნენ იხვის ჭუჭული ვიტვიტა და ლეკვი ბათურა.

ერთხელ ვიტვიტას წუწკი ფისო შესაჭმელად გამოუდგა.

— მიშველე, ბათურა! — ყვიროდა ვიტვიტა და რაც ძალი და ღონე ჰქონდა, გარბოდა.

— ჰამ, ჰამ, აი, შე საძაგელო! — შეუყეფა ბათურამ ფისოს. ფისო გაიქცა და თავის გადასარჩენად ხეზე ახტა.

— გმადლობ, ბათურა, ახლა კი წავიდეთ და ვიბანაოთ. — უთხრა ვიტვიტამ ბათურას და მდინარისაკენ სიმღერით გაეშურნენ:

— ვახ, ვახ, რა დღე ვაყარეთ
ქურდ-ბაცაცა ფისოს!
ჰამ, ჰამ, არვინ უშველის,
ყველა კარგად იცნობს!
საბანაოდ მივდივართ,
გავგრილდებით მალე;
ცურვაც ვიცით, სიმღერაც,
დივლი, დალალალე!

მდინარესთან რომ მივიდნენ, ვიტვიტა მაშინვე წყალში გადაეშვა.

— ვახ, ვახ, რა კარგია, ჩამოდი! — დაუძახა ბათურას.

ბათურა დიდ ქვაზე შედგა;

— ერთი, ორი, სამი, ჰოპ! — წამოიძახა და ისიც წყალში გადახტა.

ამ დროს ვიტვიტამ თევზი შეამჩნია, დასაჭერად გამოუდგა და ჩაყვინთა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბათურამ მოიხედა, მეგობარი რომ ვერ დაინახა, შეეშინდა, ხომ არ დაიხრჩოო და დაუძახა:

— ვიტვიტა!..

მაგრამ ვიტვიტა არსად ჩანდა.

დალონებულმა ბათურამ ტირილი დაიწყო.

— ის არ სჯობდა, მე შემეჭამა, ვიდრე წყალში დამლრჩვალიყო?— შემოესმა ბათურას ფისოს ხმა.

ბათურამ ზევით აიხედა და დაინახა: ფისო ტირიფის ხეზე ასულიყო და ტოტზე არხეინად გაწოლილი ჩამოსცქეროდა.

უცბად მდინარიდან თავი ამოჰყო ვიტვიტამ, რომელსაც მოფართქალე თევზი ეჭირა პირში. ვიტვიტა ნაპირზე გამოვიდა, თევზი ნისკარტით შუაზე გაჰყო და ბათურას უთხრა:

— მიირთვი, ძმობილო, ბანაობის შემდეგ საუზმე მეტად გემრიელია!

— გმადლობ, მეგობარო!— მიუგო გახარებულმა ბათურამ.

მეგობრები მადიანად შეექცნენ საუზმეს.

ფისო ქვევით ხარბად იცქირებოდა და ფიქრობდა:

აფსუს! მაგათი მეგობარი რომ ვიყო, საუზმეს მეც ხომ გამინაწილებდნენო!

საუზმის შემდეგ ვიტვიტა და ბათურა შინისაკენ წავიდნენ და თან გზაში ასე მიიმღეროდნენ:

— ჰამ, ჰამ, ვახ, რა, კარგია,
რა ნიავი ჰქრისო,
ფისო დარჩა მშიერი,
თვალზე ცრემლი სდისო.
ვახ, ვახ, ჰამ, ჰამ მოვდივართ,
შინ ვიქნებით მალე,
კარგი მეგობრები ვართ,
დივლი, დალალალე!...

ქართული ბიბლიოთეკა

საქანელა

მხიარული თინათინი
საქანელამ გაახარა,
ზედ დასკუპდა, გაიცინა,
ააქანა, დააქანა.

— ერთი, ორი... ერთი, ორი...
აღტაცებით ითვლის ბავშვი.
ეზოს ისე გადასცქერის,
თითქოს იჯდეს თვითმფრინავში.

ხან ქარივით დაეშვება,
ხან ჩიტივით მიჰქრის მაღლა
და ჭიკჭიკით ხმას უერთებს
ჩიტუნებით სავსე ბაღნარს.

ფიქრობს: „ისე მიმოქრივარ,
ვით მერცხალი, ვით ნიავი;
საქანელა ასეთია,
რა იქნება თვითმფრინავი?!

გიორგი კაჭახიძე

ხახატი **ალ. გიგოლაშვილისა**

ყდაზე:—„ზღვასთან“ ნახატი **გრ. ჩირინაშვილისა**

პასუხისმგებელი რედაქტორი **რევაზ მარგიანი**

საredakciо კოლეგია: **გრ. აბაშიძე, ეკ. ბურჯანაძე, ი. გრიშაშვილი, თ. თუმანიშვილი, მაყვ. მრევლიშვილი, ი. სიხარულიძე, ნ. უნაფქოშვილი, შ. ცხადაძე.**

ДИЛА—ежемесячный детский журнал ЦК ЛКСМ ГРУЗИИ № 8 Август, 1950 г. Тбилиси. Ленина 1.4

გამომცემლობა „კომუნისტი“. რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14, III სართ.

გამომცემლობის შეკვ. № 76 სტამბის შეკვ. 1884/ 971 ტირაჟი 7000 უე 04882 ფასი 5 მან.

ტექსტი აწყობილია ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფკომბინატ „კომუნისტის“ სტამბაში. ჟურნალი დაბეჭდილია ოფსეტის სისტემის მანქანაზე. „ზარია ვოსტოკას“ სტამბაში. თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 42